ევროკავშირი
საქართველოსთვის

ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის რეფორმების განხორციელებაში დახმარების ტექნიკური ჯგუფი

რეფორმების განხორციელებაში დახმარების ტექნიკური ჯგუფის მხარდაჭერა

საქართველოსთვის

ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის-რეფორმების განხორციელებაში დახმარების ტექნიკური ჯგუფი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მთავრობებს უწევს მოთხოვნაზე ორიენტირებულ დახმარებას გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის შემუშავებასა და რეფორმების განხორციელებაში.

1. ტექნიკური და საკონსულტაციო მხარდაჭერა

გენდერული მეინსტრიმინგი სამთავრობო დოკუმენტებსა და კანონპროექტებში:

- საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერა სურსათის დანაკარგების და ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულობის შესახებ საქართველოს კანონპროექტის გენდერული ზეგავლენის შეფასებაში.

გენდერული მეინსტრიმინგი ევროკავშირის დელეგაციის დოკუმენტებში:

- ევროკავშირის 2021–2025 წლების საგარეო ურთიერთობებში გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა III-ის (GAP III) საქართველოს დონეზე იმპლემენტაციის გეგმის (CLIP) გენდერული მეინსტრიმინგი.
- გამჭოლი საკითხების შეფასება „ევროკავშირი გონივრული ეკონომიკური განვითარებისთვის“ სამოქმედო დოკუმენტში.
- გამჭოლი საკითხების შეფასება “ევროკავშირის ეკოლოგიური დაკავშირების პროგრამა”-ში.
- გამჭოლი საკითხების შეფასება დოკუმენტში „ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერა და მიგრაციის მართვა.“
- მრავალწლიანი ინდიკატური პროგრამა 2021–2027 საქართველოსთვის.

2. შესაძლებლობების გაძლიერება

ტრენინგები/სამუშაო შეხვედრები/სემინარები რომელთა საშუალებითაც გაძლიერდა საჯარო მოხელეების შესაძლებლობები გენდერული მეინსტრიმინგის საკითხებზე:

- ბიზნესის, ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე ტრენინგი საქართველოს ბიზნესომბუდსმენის ოფისისთვის. (10 მონაწილე: 6 ქალი და 4 კაცი)
- ტრენინგი გენდერული ზეგავლენის შეფასების შესახებ:
  - იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისთვის, 2022 წლის 18 და 19 ივლისს. (12 მონაწილე: 9 ქალი და 3 კაცი)
  - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის, 2022 წლის 20 ივლისს. (14 მონაწილე: 11 ქალი და 3 კაცი)
  - საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის, 2022 წლის 22 ივლისს. (10 მონაწილე, ყველა ქალი)
  - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის, 2022 წლის 1 და 2 დეკემბერს. (16 მონაწილე: 10 ქალი და 6 კაცი)

ტრენინგი საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის თანამშრომლებისთვის:

- გენდერული თანასწორობისა და გენდერული მეინსტრიმინგის ტრენინგი საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის თანამშრომლებისთვის, 2022 წლის 30 და 31 მარტს. (22 მონაწილე: 16 ქალი და 6 კაცი)

მხარდაჭერა საზოგადოების ჩართულობისა და საკონსულტაციო სამუშაო ჯგუფების ორგანიზებისთვის:

- საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მხარდაჭერა საქართველოს მთავრობასთან და პარლამენტთან შეხვედრის ორგანიზებაში ქვეყნის დონეზე განხორციელების გეგმის წარდგენის მიზნით.
- საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერა სურსათის დანაკარგების და ნარჩენების შემცირების, სურსათის შეწირულობის შესახებ საქართველოს კანონპროექტის გენდერული ზეგავლენის შეფასების წარდგენაში.

სასწავლო ვიზიტი:

- სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლების ვიზიტი საქართველოში სექსუალური და გენდერული ნიშნით

ეს დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ორგანიზაცია NIRAS-ი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

ახორციელებს NIRAS

და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში საქართველოს გამოცდილების შესასწავლად. ვიზიტი მოიცავდა შეხვედრებს სახელმწიფო სტრუქტურებთან, მათ შორის, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან (საქსტატი), შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთან.

3. მტკიცებულებების ბაზა აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში ქალებსა და მამაკაცებზე რეფორმების გავლენის შესახებ

ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის- რეფორმების განხორციელებაში დახმარების ტექნიკური ჯგუფის მიერ შემუშავებული ცოდნის რესურსები საქართველოს შესახებ:

- საქართველოს გენდერული პროფილი: გენდერული თანასწორობა საქართველოში GAP III-ის პრიორიტეტულ სფეროებში – ქვეყნის მიმოხილვა.
- გენდერული ზეგავლენის შეფასების გზამკვლევი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის.
- გენდერული ზეგავლენის შეფასების გზამკვლევი საქართველოს ბიზნესომბუდსმენის ოფისისთვის.
- გენდერულად პასუხისმგებლიანი შრომის ინსპექტირების სტანდარტების გზამკვლევი საქართველოს შრომის ინსპექციისთვის.

საქართველოს შესახებ პუბლიკაციებით გაშუქებული სფეროები ტექნიკური დახმარების ჯგუფის გენდერული თანასწორობის ბიბლიოთეკაში:

- სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე.
- ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება.
- გენდერული ნიშნით სახელფასო სხვაობა და უთანასწორობა შრომის ბაზარზე.
- გენდერული მეინსტრიმინგი უმაღლეს განათლებაში.
- ქალთა წვდომა მართლმსაჯულებაზე.
- ადრეული ქორწინება.
- წარმოდგენები გენდერული თანასწორობის შესახებ.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და ბავშვები.
- ქალთა გაძლიერების პრინციპების (WEPs) დანერგვა.
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გენდერული თანასწორობის პოლიტიკა საქართველოში.

4. რეგიონული აქტივობები

- სამოქალაქო საზოგადოების ონლაინ ფორუმი: გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, 2021 წლის დეკემბერი.
- ონლაინ ფორუმი სამოქალაქო საზოგადოების როლისა და თანამშრომლობის შესაძლებლობების შესახებ გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების საკითხებში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, 2022 წლის 9-10 თებერვალი.
- სამოქალაქო საზოგადოების ონლაინ აკადემია გენდერული მეინსტრიმინგისა და გენდერული ანალიზის შესახებ: აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების გენდერული ექსპერტებისა და ტრენერების შესაძლებლობების განვითარების ონლაინ პროგრამა, 2022 წლის ნოემბერი- 2023 წლის აპრილი.
- საქართველოს, მოლდოვის რესპუბლიკისა და უკრაინის სამთავრობო დელეგაციების სასწავლო ვიზიტი ევროკავშირის ინსტიტუციებში, ბრიუსელში, 2022 წლის 5–9 დეკემბერს, გენდერული თანასწორობის საკითხებზე ევროკავშირის მუშაობის შესახებ ცოდნის გაძლიერების, მათ შორის ევროკავშირის 2020-2025 წლების გენდერული თანასწორობის სტრატეგიისა და ევროკავშირის სამართლებრივი ნორმების უკეთ გაცნობის მიზნით. (საქართველოს 10 წარმომადგენელი: 8 ქალი და 2 კაცი)

ჩვენი ბენეფიციარების სიტყვებით

„ჩვენს თანამშრომლებს ჰქონდათ მოლოდინი, რომ ეს იქნებოდა მორიგი მოსაწყენი ტრენინგი გენდერული თანასწორობის საკითხებზე ზოგადი პროგრამით, მაგრამ შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. კარგად დაგეგმილი, შემოქმედებითი პროგრამით გავიგეთ თემის კრიტიკული ასპექტები და მისი მნიშვნელობა ჩვენს ყოველდღიურ სამუშაო აქტივობებში. მოხარული ვიქნებით გავაგრძელოთ მუშაობა თქვენს ორგანიზაციასთან ამ საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით.“

– ბიზნესომბუდსმენის ოფისისთვის ორგანიზებული ბიზნესის, ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ტრენინგის მონაწილე.

ეწვიეთ გენდერული თანასწორობის ბიბლიოთეკას

სასარგებლო ბმულები

- ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის- რეფორმების განხორციელებაში ტექნიკური დახმარების ჯგუფის გვერდი
- გენდერული თანასწორობის ბიბლიოთეკა
- ევროკავშირის მეზობლები აღმოსავლეთი: საქართველო (ინგლისურად)
- ევროკავშირის მეზობლები აღმოსავლეთი: საქართველო (ქართულად)